საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იდლეთი

იდლეთის
მთავარანგელოზის
ეკლესია

იდლეთი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის წინარეხის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. კავთურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 680 მ, კასპიდან 10 კმ, კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 კმ. 263 მცხ. (2014).

ი. პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.) კავთისხევის სოფელთა სიაში. 1930 ი. შედიოდა კასპის რ-ნის კავთისხევის სასოფლო საბჭოში და ცხოვრობდა 676 მოსახლე.

სოფლის განაპირას, აღმ-ით, დგას ნათლისმცემლის ეკლესია. იგი მცირე ზომის ქვიშაქვის ლოდებით ნაგები, „თავისუფალი ჯვრის" ტიპის გუმბათოვანი ეკლესიაა, რ-იც VI ს. I ნახ-ით თარიღდება. შენობის გეგმა წარმოადგენს თანაბარმკლავიან ჯვარს – ერთადერთი შესასვლელით დასიდან. აღმ. მკლავი ნახევარწრიული აფსიდია, დანარჩენი მკლავები კი სწორი კედლებითაა შემოფარგლული. გუმბათის ყელი ოთხ საბჯენ თაღს ეყრდნობა. იგი ოთხწახნაგაა, ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება და ოთხივე კუთხე როგორც შიგნიდან, ისე გარედან ჩამოჭრილი აქვს. გუმბათის ყელის კუბური სივრცე გადახურულია ოთხი სეგმენტით შეკრული კამარით.

ეკლესიის შიგნით შემორჩენილია XII ს. მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები.

სოფლის ცენტრში დგას განვითარებული შუა საუკუნეების კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია, სოფლის ცენტრშია აგრეთვე მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის მეორე დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჯ. გვასალია